# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

# საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული ძირითადი აქტივობები

# 2024 წელი

# სარჩევი

**ორგანიზაციულ-ფუნქციური განვითარება** ..... 2

1. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა ..... 2

2. განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ..... 2

3. საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სამსახურს გადმოეცა შემდეგი აღჭურვილობა: ..... 3

4. განახლებული მცურავი საშუალებები, სამთო-სამაშველო და სახანძრო ტექნიკის ავტოპარკი ..... 4

5. ორგანიზაციული განვითარება ..... 4

სამართლებრივი ბაზის სრულყოფა ..... 6

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარება ..... 7

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელებული და შემდგომი აქტივობები: ..... 8

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ..... 9

თანამშრომლობა ევროკავშირთან ..... 9

NATO - სთან თანამშრომლობა ..... 10

ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი სახის პროექტები: ..... 11

პოლონეთი ..... 11

ავსტრია ..... 12

შვედეთი ..... 12

საფრანგეთი ..... 12

ლიეტუვა ..... 13

იაპონია ..... 13

აშშ ..... 13

თურქეთი ..... 14

გაეროსთან თანამშრომლობა ..... 15

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ..... 16

## ორგანიზაციულ-ფუნქციური განვითარება

### 1. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

- აშენდა ონის სახანძრო-სამაშველო შენობა;
- განხორციელდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახანძრო-სამაშველო შენობების მცირე სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში, უცნობ გმირთა №182-ში სასაწყობე მეურნეობის სამშენებლო სამუშაოები;
- დამონტაჟდა ქ. თბილისში, უცნობ გმირთა №182-ში კვების პროდუქტებისთვის შესანახი სამაცივრე/სასაწყობე ფართი (კონტეინერი);
- 2023 წელს დაიწყო ქ. ბათუმში ოპერატიული მართვის ცენტრის კეთილმოწყობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომელიც დასრულდა 2024 წელს;
- ქ. ზუგდიდში დასრულდა ოპერატიული მართვის ცენტრის კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოები;
- 2024 წელს დაიწყო და 2025 წელს დასრულდება ქ. თბილისში, უცნობ გმირთა №182-ში ვოლიერების სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა 3 ერთეული რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო დამატებით ორი ერთეული რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები დასრულდება 2025 წელს;
- 2024 წელს დაიწყო და 2025 წელს დასრულდება საქართველოს მასშტაბით 50 ცალი კონტეინერის განთავსება, რეგიონების ჩამონათვალი: კახეთი-4, შიდა ქართლი-4, გურია-13, რაჭა-ლეჩხუმი-4, სამცხე-ჯავახეთი-8, სამეგრელო-6, აჭარა-6, იმერეთი-3, ქვემო ქართლი-2;
- 2023 წელს დაიწყო ქ. თბილისში, უცნობ გმირთა №182-ში მდებარე სტადიონის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმება 2025 წელს;
- 2024 წელს დაიწყო ქ. გორსა და ქ. ქუთაისში ოპერატიული მართვის ცენტრის კეთილმოწყობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2025 წელს.

### 2. განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- შეძენილია მეხანძრე-მაშველის ყოველდღიური ფორმის ტანსაცმელი;
- შეძენილია ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით საჭირო სამაშველო აღჭურვილობა;
- შეძენილია საზღვაო სეზონისა და ტყის ხანძრებისთვის განკუთვნილი სახანძრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების რადიოსადგურები;
- შეძენილია უსაფრთხოების ბალიში (ბატუტი);
- შეძენილია მაიზოლირებელი შეკუმშული ჰაერის აპარატები და კომპრესორები;
- შეძენილია 31 ერთეული სახანძრო ავტოსატრანსპორტო საშუალების დასაკომპლექტებლად შესაბამისი აღჭურვილობა;
- მაშველებისთვის შეძენილია დამცავი საშუალებები (სამუხლეები და საიდაყვეები), ამასთან, დაწყებულია პროცედურები სხვადასხვა სახის სამაშველო და დამცავი აღჭურვილობის (სამთო-

სამაშველო და სახანძრო აღჭურვილობა) შესყიდვის მიზნით;

- დაწყებულია პროცედურები სხვადასხვა დეპარტამენტის ფორმა-ტანსაცმლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობის შესყიდვის თაობაზე;
- სამსახურის ახალი შენობებისთვის შეძენილ იქნა საოფისე ავეჯი და შესაბამისი ტექნიკა;
- სამსახურის სამაშველო დანიშნულების ავტომანქანებისთვის შეძენილ იქნა საბუქსირე ბაგირები და ჯალამბრები.

## 3. საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სამსახურს გადმოეცა შემდეგი აღჭურვილობა:

- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის - „დუშეთის მუნიციპალიტეტის დაცული ტერიტორიების კატასტროფების რისკის მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ოფიციალურად გადმოეცა 34,978 აშშ დოლარის ღირებულების 1 ერთეული მაღალი გამავლობის მანქანა (კვადროციკლი) და სხვადასხვა დასახელების სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა;
- პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე პროექტის „საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ კრიზისების ეფექტური მართვის მიზნით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სისტემისთვის კონცეფციის შემუშავება და მისი ეროვნულ დონეზე განლაგებისთვის მზადება“ №DWR/ADM/2023/008/2 ფარგლებში, პოლონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სახანძრო სამსახურის მხრიდან შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს უსასყიდლოდ გადმოეცა 235 927,29 პოლონური ზლოტის ღირებულების საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) აღჭურვილობა;
- გაფორმდა ხელშეკრულება ორი ერთეული მეორადი სახანძრო ტექნიკის გადმოცემაზე საჩხერისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებისთვის ღირებულებით 181 007,43 ლარი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შვედეთის პოლიციის მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სამსახურს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს უსასყიდლოდ გადმოეცა 246 683 შვედური კრონის ღირებულების 3 ერთეული უპილოტო საფრენი აპარატი (დრონი);
- ამერიკის შეერთებული შტატების ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურთან (US ODC) თანამშრომლობის ფარგლებში შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 67 871,22 ევროს ღირებულების სამაშველო ტექნიკა (1 ერთეული ყველგანმავალი მანქანა - კვადროციკლი) სახანძრო და სამთო-სამაშველო აღჭურვილობა;
- შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და პოლონური ორგანიზაცია ICAD თანამშრომლობის ფარგლებში, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პოლონეთის დახმარების პროგრამის თანადაფინანსებით, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ICAD-ის მხრიდან უსასყიდლოდ მიიღო 96 153,83 პოლონური ზლოტის ღირებულების სხვადასხვა დასახელების სამთო-სამაშველო აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა;

- თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TİKA) ოფისთან თანამშრომლობის ფარგლებში, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის შეძენილი იქნა 122 270,08 ლარი ღირებულების სხვადასხვა სამთო-სამაშველო აღჭურვილობა (თოკზე სამაშველო);
- ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 92 079,51 აშშ დოლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების სამაშველო აღჭურვილობა;
- ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ინიციატივის ფარგლებში დანიის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (DEMA) მხრიდან შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 261 660,07 ევროს ღირებულების ტყის ხანძრების ქრობისთვის განკუთვნილი სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა, მათ შორის 14 ცალი წყლის პომპა (fox4) და 17 ცალი ბენზოხერხი.

## 4. განახლებული მცურავი საშუალებები, სამთო-სამაშველო და სახანძრო ტექნიკის ავტოპარკი

- 2024 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უსასყიდლოდ სამსახურის ბალანსზე გადმოცემული იქნა 39 ერთეული მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი;
- სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ შეძენილ და გადმოცემულ იქნა 34 ერთეული ავტომობილი;
- სამსახურის მიერ შესყიდულ იქნა 10 ერთეული ტყის ხანძრებისთვის განკუთვნილი მაღალი გამავლობის "ASTRA"-ს მარკის სახანძრო ცისტერნა. გაფორმებულია ხელშეკრულება ანალოგიური დანიშნულების 31 ერთეული ახალი სახანძრო ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად. ასევე დაწყებულია პროცედურები 3 ერთეული სახანძრო მუხლიანი კიბის (კალათით) შესყიდვა;
- სამსახურის მიერ შესყიდული იქნა 15 ერთეული "VITA"-ს მარკის სწრაფმავალი კატარღა.

## 5. ორგანიზაციული განვითარება

- მეხანძრე-მაშველთა საშტატო რიცხოვნობა გაიზარდა 300 ერთეულით;
- შეიქმნა იმერეთის მთავარ სამმართველოში, **ბორითის განყოფილება;**
- განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარ სამმართველოს სწრაფი რეაგირების სამმართველოში შეიქმნა **დასავლეთ საქართველოს სწრაფი რეაგირების განყოფილება**;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სასწავლო ცენტრის (სამმართველო) საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაინერგა: ISO 21001:2018 სტანდარტი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასწავლო ცენტრში (სამმართველო) დაინერგა 14 სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა/კურსი. სამსახურის მიზნების, გამოწვევებისა და

საჭიროებების გათვალისწინებით მიმდინარეობს ახალი სპეციალიზებული სასწავლო პროგრამების/კურსების შემუშავება;

- საანგარიშო პერიოდში სასწავლო ცენტრში სხვადასხვა სასწავლო პროგრამის/კურსის ფარგლებში მომზადება/გადამზადება გაიარა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის - 751-მა მოსამსახურემ;
- სასწავლო ცენტრში დანერგილია სხვადასხვა მიმართულების სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა/კურსი, რომელთა ფარგლებში 2024 წელს მომზადდა სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის 452 მოსამსახურე;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორებმა **მინდელის მაღაროს სამთო მაშველებს** საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების თეორიული და პრაქტიკული კურსი ჩაუტარეს;
- განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს და სპეციალური სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორების მიერ **60 მეხანძრე-მაშველი** წყალზე სამაშველო მოქმედებების საკითხებზე გადამზადდა, რის ძირითად თემებსაც წარმოადგენდა წყალში უბედური შემთხვევების დროს სამაშველო ოპერაციების განხორციელება;
- სასწავლო ცენტრის მოსამსახურეები, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც საზღვარგარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით ჩატარებულ სხვადასხვა ტიპის კონფერენციებსა და სწავლებებში;
- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში ჩატარდა დაგეგმილი შეხვედრა მოხალისეობის მსურველ კანდიდატებთან. გაიმართა პროექტ „მოხალისე“-ს პრეზენტაცია. მოხალისეობის მსურველებს შორის შერჩეულ იქნა 15 მოხალისე;
- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში შერჩეულ მოხალისეებს ჩაუტარდათ თეორიული და პრაქტიკული სწავლებები ტყის ხანძრის ქრობის მიმართულებით. ასევე, გაეცნენ სახანძრო-სამაშველო ტექნიკასა და აღჭურვილობას;
- მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები ჩართული იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში:
    - გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ ბორჯომსა და ბათუმში დაგეგმილ სწავლებაში, პოტენციური ტრენერების მომზადება მოხალისეთათვის სწავლების ჩატარების მიმართულებით;
    - კომპანია ”Digiway”-ის მიერ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში თურქეთში ჩატარებულ სასწავლო ტრენინგში. სწავლების მიზანს წარმოადგენდა მოხალისე მაშველების გადამზადება ხანძრის, მეწყერისა და წყალდიდობის შემთხვევაში;
    - ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში, ქალაქ რომში (იტალია) "PPRD East 3"-ის მიერ ორგანიზებულ ექსპერტთა გაცვლის პროგრამაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საუკეთესო გამოცდილება და ინფორმაციის გაზიარება სამოქალაქო უსაფრთხოების დაგეგმარებისა და მოხალისეთა სისტემის დანერგვის შესახებ;
    - გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ ფარგლებში, ესტონეთში (ქ. ტალინი) გამართულ სწავლებაში. სწავლების მიზანს წარმოადგენდა ესტონეთის მოხალისეთა სისტემის სტრუქტურისა და პრინციპების გაცნობა, ასევე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

## სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

საანგარიშო პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებისათვის მიღებული იქნა შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს 2024 წლის 13 დეკემბრის №169-Iმს-XIმპ კანონი;
- „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2024 წლის 03 აპრილის №4100-XIVმს-Xმპ კანონი;
- „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2024 წლის 13 დეკემბრის №172-Iმს-XIმპ კანონი;
- „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 13 დეკემბრის №173-Iმს-XIმპ;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 17 იანვრის №4 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 27 მარტის №19 ბრძანება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 17 იანვრის №4 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 04 აპრილის №27 ბრძანება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 17 იანვრის №4 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 04 აპრილის №96 ბრძანება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურის წახალისების წესისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 აპრილის №29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 30 მაისის №40 ბრძანება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურის წახალისების წესისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 აპრილის №29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 09 აგვისტოს №60 ბრძანება;

- „სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №309 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 ოქტომბრის 366 დადგენილება.

## სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარება

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე კონსულტაციები გაეწიათ და სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნა 336 ორგანიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმები;
- შეთანხმებულ იქნა **ონის, დუშეთის, სენაკის, ამბროლაურის, გორის, თბილისისა და საჩხერის** მუნიციპალიტეტების უსაფრთხოების პასპორტები. ასევე, კონსულტაცია გაეწიათ **ონის, ბორჯომის, ბათუმისა და დედოფლისწყაროს** მუნიციპალიტეტებს მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმების შემუშავების შესახებ;
- მონაწილეობა იქნა მიღებული თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „კლიმატით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ ფარგლებში მუნიციპალიტეტების საგანგებო მართვის გეგმების შემუშავებაზე უფლებამოსილი პირების მომზადების პროგრამის მესამე ფაზით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სწავლებაში;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში, გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტების საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში საგანგებო მართვის გეგმების შემუშავებაზე უფლებამოსილი პირების მომზადების პროგრამის მესამე ფაზით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამაგიდე ვარჯიშის დაგეგმარებაში და მის ჩატარებაში;
- მონაწილეობა იქნა მიღებული, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პროგრამის -,,PPRD East 3"-ის ფარგლებში, ქ. ბორჯომში ჩატარებულ კომპლექსურ სამაგიდე სწავლების დაგეგმარებასა და მის ჩატარებაში, რომელიც მიზნად ისახავდა ტყის ხანძრებზე რეაგირების კომპონენტების დახვეწას და მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმის შეფასებას;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სამაგიდო და პრაქტიკული სწავლების მომზადებასა და მის ჩატარებაში, თემაზე: „საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა და რეაგირება“, რომელსაც ესწრებოდნენ აშშ-ის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისისა (US ODC) და აშშ-ის ჯორჯიის შტატის გვარდიის ექსპერტები;
- ონის მუნიციპალიტეტის მერიაში ორგანიზება გაეწია შეხვედრებს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2023 წელს მომზადებული შოვში, მდ. ბუბისწყლის ხეობაში განვითარებული სტიქიური მოვლენების შეფასების ანგარიშის“ მე-11 პუნქტში „დასკვნები და რეკომენდაციები“ მითითებული პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა (მათ შორის შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა) და ონის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის შემუშავების საკითხებზე;

- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. ყვარელში სამოქალაქო უსაფრთხოების სწავლება **„დურუჯი 2024“**-ის დამგეგმარებელ შეხვედრებში და კომპლექსურ სწავლებაში;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა **სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ** სწავლება ჩაატარეს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების სათავო ოფისში, რის მიზანსაც საგანგებო სიტუაციების ტიპების, მათი პრევენციის, ევაკუაციის პროცედურებისა და სახანძრო-სამაშველო ძალების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სიმულაციური საევაკუაციო სწავლების დამგეგმარებელ შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დამონტაჟებული ადრეული შეტყობინების სისტემის დატესტვა და დევდორაკი - ამალის ხეობაში საფრთხის შესაძლო განვითარების შემთხვევაში, სახიფათო ზონიდან წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით პერსონალისა და ქვეყნის ვიზიტორების უსაფრთხო ადგილზე ევაკუაციის პროცედურების დახვეწა;
- მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველო-აზერბაიჯანის ტრანსსასაზღვრო რისკის შეფასებისა და სამოქმედო გეგმის პროექტ SAILOR-ის ფარგლებში საგანგებო მართვის გეგმისა და მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირებთან საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება-ჩატარებაში და საგანგებო მართვის გეგმისა და მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის საბოლოო პროექტების შემუშავებაში.

## სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელებული და შემდგომი აქტივობები:

- სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პროგრამის PPRD East 3 ფარგლებში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში;
- სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (UCPM) ფარგლებში გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო კურსში;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ადგილობრივი ტერიტორიული სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მონაწილეობით თეორიული და პრაქტიკული სწავლებები ჩატარდა **26** საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის **7** საჯარო სკოლაში. სკოლებში ჩატარებულ სწავლებებს ესწრებოდა 159 - შშმ და სსმ მოსწავლე;
- სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ მულტისაფრთხეების კატასტროფის რისკის სისტემების (MHDRIS) - პლატფორმის შემუშავების ონლაინ ტრენინგებში;
- საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს კონვენციის მე-12 დანართის ცვლილებების „საავიაციო ძებნა-შველის რეაგირების გეგმაში“ ასახვის მიზნით, ორგანიზება გაეწია „საავიაციო ძებნა-შველის რეაგირების გეგმით“ განსაზღვრული ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების შესრულებისთვის შექმნილ მუდმივმოქმედ უწყებათაშორის კომისიის სამუშაო ჯგუფების შეხვედრებსა და კომისიის სხდომის ჩატარებას;

- **პროექტ SAILOR-ის** ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ბროშურები საგანგებო სიტუაციებისას ქცევის წესის შესახებ (მათ შორის ბრაილის შრიფტით);
- მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის ქვედანაყოფებში (ხონი, სენაკი, ქუთაისი) სახანძრო სამაშველო ჯგუფების მომზადების მიზნით ჩატარებულ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებში თემაზე: „სახანძრო-სამაშველო უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციების მართვა და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის გაცნობა“.

## საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მიზნით, დონორ ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2024 წელს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

## თანამშრომლობა ევროკავშირთან

ევროკავშირის პროგრამა „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში“ (EU-SAFE) ფარგლებში 2024 წელს წარმატებით მიმდინარეობდა პროექტი სახელწოდებით „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროექტების მომსახურების ოფისთან (UNOPS) თანამშრომლობით ორგანიზებულ სწავლებებში, სასწავლო ტურებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის **336** თანამშრომელმა.

შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატთან (DG ECHO). 2024 წლის 20 თებერვალს, ქართულმა მხარემ მიიღო გაწევრიანების გზამკვლევი და დაიწყო გაწევრიანების ტექნიკური პროცედურები. 2024 წელს UCPM-ის ეგიდით გამართულ სწავლებებში, საგრანტო პროექტებსა და ვიზიტებში შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 15-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა, კერძოდ:

- **დედოფლისწყაროში** „ტრანსსასაზღვრო რისკების შეფასება და სამოქმედო გეგმის შემუშავება საქართველოსა და აზერბაიჯანში - SAILOR“ ფარგლებში გაიმართა ევროკავშირის ექსპერტების ვიზიტი;
- **ქ. ბრიუსელში (ბელგია)** ჩატარდა ეროვნული UCPM - ის საკონტაქტო პირებისთვის მექანიზმის სწავლება;
- UCPM-ის საგრანტო პროგრამის პროექტის „მრავალეროვნული სწავლების პროექტი - კატასტროფების რისკების ყოვლისმომცველი ანალიზი“ ფარგლებში შემფასებელთა მისიის სამუშაო ვიზიტი გაიმართა;
- **ბრიუსელში (ბელგია)** ევროკავშირის პროექტ „კატასტროფების რისკების ყოვლისმომცველი ანალიზი“ ფარგლებში მმართველი კომიტეტის პირველი შეხვედრა გაიმართა;
- **ბრიუსელში (ბელგია)** ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დირექტორატის სამოქალაქო უსაფრთხოების სექტორის რიგით მე - 8 ფორუმი გაიმართა.
- **სიღნაღში** პროექტ ”SAILOR” ფარგლებში ჩატარდა სწავლება უპილოტო საფრენი აპარატების (8 დრონი) შესწავლის მიზნით;

- **ქ. ბრიუსელში (ბელგია)** გაიმართა ეროვნული UCPM - ის საკონტაქტო პირებისთვის მექანიზმის სწავლება;
- **ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი) პროექტ „SAILOR"-ის** ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა პროექტის მიზნებთან დაკავშირებით, დაიგეგმა ერთობლივი სამაგიდე და საველე სწავლებების ჩატარება;
- **ქ. მილანსა და ქ. სავონაში (იტალია)** პროექტ SAILOR-ის ფარგლებში ჩატარდა სწავლება ტყის ხანძრების რისკის რუკების შექმნის, ადრეული გაფრთხილების სისტემისა და დრონების შესახებ;
- **ქ. ტოლედოში (ესპანეთი),** ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის გაცნობითი კურსი (UCPM) გაიმართა.

ევროკავშირის პროექტ "SAILOR"-ის ფარგლებში ცნობიერების ამაღლების საკითხებთან დაკავშირებით მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები (3400 ცალი), როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ ენაზე.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების მიზნით, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გააჩნია კონკრეტული ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრულია ასოცირების შეთანხმების 22-ე თავით - სამოქალაქო უსაფრთხოება. აღნიშნული ვალდებულებების შესრულების ყოველწლიური ანგარიში გამოქვეყნდა საიტზე: **www. aa-monitoring.ge**.

სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის შესაძლებლობების გაზრდისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პროგრამა - PPRD East 3-ში. ევროკავშირის PPRD East 3 პროგრამის ფარგლებში გამართულ სწავლებებში, სამუშაო შეხვედრებსა და ვიზიტებში მონაწილეობა მიიღო შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 71 თანამშრომელმა.

## NATO - სთან თანამშრომლობა

შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და NATO–ს შორის თანამშრომლობის ფორმატებია: წლიური ეროვნული გეგმა (ANP) და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP). ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატში 2024 წელს შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 10-მა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო 10 აქტივობაში, კერძოდ:

- **ქ. ობერამერგაუში (გერმანია)** გაიმართა სწავლება „ნატოს ქბრბ შეტყობინებისა და აღწერის სისტემა";
- **ქ. სოფიაში (ბულგარეთი),** ჩატარდა „კრიზისების მართვის პროფესიული განვითარების კურსი";
- **ქ. ობერამერგაუში (გერმანია)** გაიმართა - ტაქტიკური შეფასებისა და ლოჯისტიკური საკითხების კურსი;
- **ქ. ბრიუსელში (ბელგია) გაიმართა** სამოქალაქო უსაფრთხოების ჯგუფის პლენარული შეხვედრა საზოგადოებრივი თავშესაფრებისა და მოსახლეობის მასობრივი ევაკუაციის საკითხებზე;
- **ქ. ვიშკოვში (ჩეხეთი)** ჩატარდა სწავლება ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოლოგიურ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების შესახებ;

- **ქ. თბილისში,** ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატისა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის თანამშრომლობის ფარგლებში, გაიმართა სახელისუფლებო მმართველობის უწყვეტ ფუნქციონირებაზე სწავლება;
- **ქ. სოფიაში (ბულგარეთი)** გაიმართა „კრიზისების მართვისა და კატასტროფებზე რეაგირების კურსი";
- **ქ. სოფიაში (ბულგარეთი)** გაიმართა კურსი - „კრიზისული სიტუაციების საპასუხო ოპერაციებში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება";
- **ქ. სოფიაში (ბულგარეთი)** გაიმართა კურსი - „კრიზისების მართვისა და კატასტროფულ სიტუაციებზე საპასუხო ვარჯიშების დამგეგმავთა ტრენინგი";
- **ქ. ბრიუსელში (ბელგია)** გაიმართა ერთობლივი სამედიცინო ჯგუფის პლენარული შეხვედრა.

## ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი სახის პროექტები:

### პოლონეთი

**განხორციელებული სწავლებები და შეხვედრები - 14 ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 180 თანამშრომელმა:**

- **მესტიაში** პოლონური ორგანიზაცია "ICAD"-ის მიერ ჩატარდა საძიებო - სამაშველო სწავლება თხილამურების დახმარებით (GPS);
- **სტეფანწმინდაში (ყაზბეგი)**, ICAD – ის მიერ გაიმართა სამთო- სამაშველო სწავლება;
- **ბორჯომში** ICAD-ის მიერ ჩატარდა წყალზე სამაშველო სწავლება;
- ICAD"-ის მიერ **მესტიაში (უშბა)** ჩატარდა მაღალ მთაში სამაშველო სწავლება;
- პოლონეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მიმდინარე პროექტის **„საქართველოში სპეციალიზირებული სამაშველო სამუშაოების - თოკით სამაშველო და ტექნიკური სამაშველო მიმართულებების განვითარება"** ფარგლებში **ქ. ჩენტოხოვაში (პოლონეთი)** ჩატარდა თოკზე სამაშველო და ტექნიკური სწავლება;
- პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და კრაკოვის პოლიციის მიერ "Polish Aid 2024"-ის პროექტის - **„ტრენინგი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებისთვის, საქართველოში საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად მრავლისმომცველი მიდგომით"** ფარგლებში **ქ. კრაკოვსა (პოლონეთი) და ქ. თბილისში** გაიმართა თეორიული და პრაქტიკული სწავლება;
- **ქ. ვარშავაში (პოლონეთი)** პოლონეთის სახელმწიფო სახანძრო უნივერსიტეტის მიერ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს საავარიო - სამაშველო და ხანძრის ქრობის სამუშაოების ტაქტიკურ დონეზე მართვის შესახებ სწავლება გაიმართა;
- **ყაზბეგში** "ICAD"-ის მიერ ჩატარდა მაღალ მთაში სამაშველო სწავლება;
- **ყაზბეგში** "ICAD"-ის ორგანიზებით გაიმართა სწავლება ჰიპოთერმიაზე სამედიცინო რეაგირების შესახებ;

- **ბორჯომში** ”ICAD” - ის ორგანიზებით გაიმართა თოკზე სამაშველო სწავლება;
- **თბილისში** ინსტრუქტორთა გადამზადების მიზნით პოლონეთის სახანძრო უნივერსიტეტის თანამშრომლები იმყოფებოდნენ;
- პოლონეთის სახანძრო სამსახურის და სახანძრო სკოლის მიერ ჩატარდა თოკზე სამაშველო სწავლება;
- პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროექტის „საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ კრიზისების ეფექტური მართვის მიზნით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სისტემისთვის კონცეფციის შემუშავება და მისი ეროვნულ დონეზე განხორციელებისთვის მზადება“ ფარგლებში 4 პოლონელი ექსპერტის მიერ ტექნიკურ და მომხმარებლებზე ორიენტირებული სწავლებები გაიმართა;
- **თბილისში** ICAD-ის საბოლოო კონფერენცია გაიმართა.

## ავსტრია

**განხორციელებული სწავლებები:**

- ავსტრიის რესპუბლიკის ტიროლის ფედერაციულ მიწასა და შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის **5** თანამშრომელი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა **ტიროლის მიწაზე (ავსტრია).** ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სამთო-სამაშველო კუთხით პრაქტიკული წვრთნების ჩატარება და სამთო-სამაშველო სისტემის გაცნობა;
- **სტეფანწმინდაში (ყაზბეგი)** ავსტრიელი ინსტრუქტორების მიერ ჩატარდა სამთო- სამაშველო სწავლება. აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის **15-მა** თანამშრომელმა.

## შვედეთი

- **შვედეთსა და საქართველოში,** საქართველოსა და შვედეთის ორმხრივი პროექტის „საქართველოში პოლიციის მხარდაჭერის შესახებ“ ფარგლებში, შვედეთის ეროვნული პოლიციის მიერ შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის უსასყიდლოდ გადმოცემული უპილოტო საფრენი აპარატების (დრონი) მართვის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით ჩატარდა ტრენერთა სწავლება (ToT). აღნიშნულ სწავლებაში შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო **3-მა** თანამშრომელმა.

## საფრანგეთი

- **თბილისში,** საფრანგეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ფრანგმა ინსტრუქტორებმა შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები სიმაღლეზე სამაშველო ოპერაციების მიმართულებით გადაამზადეს. სწავლება მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. სწავლების პრაქტიკულ ნაწილში ჩართული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი, რომლის მეშვეობითაც მეხანძრე-მაშველებმა ვერტმფრენიდან თოკით დაშვებისა და სხვა

სამაშველო ოპერაციების დემონსტრირება მოახდინეს. აღნიშნულ სწავლებაში შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო **20-მა** თანამშრომელმა.

## ლიეტუვა

- **ვილნიუსში (ლიეტუვა)** საქართველოსა და ლიეტუვას შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა მაღალი დონის შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა საქართველოს, ლიეტუვას, მოლდოვასა და უკრაინას შორის ოთხმხრივი განზრახვის წერილს.

## იაპონია

- **ქ. ალმათში** ჩატარდა სემინარი - „მიწისძვრის კატასტროფების რისკების შემცირებასა და მართვაზე ცენტრალური აზიის და კავკასიის ქვეყნებში“. სემინარის მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციის გაზიარება შემდეგ საკითხებზე: სეისმურად გამძლე სისტემის კონსტრუქცია/მშენებლობა მიწისძვრის კატასტროფების რისკის შესამცირებლად, მიწისძვრის რისკის მართვა მზადყოფნის ეტაპზე და საგანგებო სიტუაციების დროს, მიწისძვრაზე ადრეული გაფრთხილების სისტემა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება, კატასტროფების რისკის შემცირება და საჯარო სექტორთან ურთიერთობა. აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის **3** თანამშრომელმა;
- **ქ. ფუკუოკაში (იაპონია)** იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) კიუშუს ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ხანძრის მართვისა და კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ სასწავლო კურსი. სწავლების მიზანს წარმოადგენდა ცოდნის გაღრმავება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სახანძრო ტექნიკები, ხანძრის მართვა, პრევენცია, კატასტროფების რისკის შემცირება და ხსენებულ საკითხებზე იაპონიის გამოცდილების გაზიარება. აღნიშნულ სწავლებას შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან ესწრებოდა **1** თანამშრომელი;
- **ქ. ტოკიოსა და ივატეს პრეფექტურაში,** იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) კიუშუს ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა სწავლება - **„კატასტროფების რისკის შემცირება და საზოგადოების განვითარება“.** აღნიშნული სწავლების მიზანს წარმოადგენდა მონაწილეებისთვის იაპონიის გამოცდილების, პრაქტიკისა და ინფორმაციის გაზიარება კატასტროფების რისკის შემცირების მიმართულებით. აღნიშნულ კურსს შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის **1** თანამშრომელი ესწრებოდა;
- **ქ. კობეში, ქ. ტოკიოსა და ქ. ნაგოიაში (იაპონია)** ონლაინ, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) კიუშუს ცენტრის ორგანიზებით გაიმართა კურსი კატასტროფების რისკის შემცირების საკითხებზე. აღნიშნულ სწავლებაში შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სასწავლო ცენტრის **1-მა** თანამშრომელმა.

## აშშ

**განხორციელებული სწავლებები და ვიზიტები:**

- **ქ. ვაშინგტონში,** აშშ - ის სახელმწიფო დეპარტამენტის მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) ტერორიზმთან ბრძოლის (WMDT) ოფისის მიერ მხარდაჭერილი პროექტის, „P773 საქართველოში

ქიმიური უსაფრთხოების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება“ (2022-2025 წწ), ფარგლებში, ქიმიური უსაფრთხოების შესაბამის უწყებებში, ქიმიური ნივთიერებების პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით გაიმართა ვიზიტი;

- **ამბროლაურის მუნიციპალიტეტში** შსს - სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაიმართა სამაგიდე და პრაქტიკული სწავლება - „საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა და რეაგირება“. სწავლებას ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის (US ODC) და აშშ-ის ჯორჯიის შტატის გვარდიის ექსპერტები (6 ექსპერტი), შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან კი ესწრებოდა **4** თანამშრომელი;

- შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალციხის სახანძრო-სამაშველო განყოფილებას ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი - **რობინ დანიგანი** ეწვია. ელჩს შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა უმასპინძლა. რობინ დანიგანმა შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის (US ODC) მხარდაჭერით გადმოცემული ტყის ხანძრებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის უახლესი მოდელის სპეციალური აღჭურვილობა დაათვალიერა;

- **ქ. თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში,** ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით, **ქიმიური საფრთხეების შემცირების პროგრამის (CSE)** ახალი პროექტის ფარგლებში გაიმართა **სამაგიდე სწავლება (TTX)**. აღნიშნულ სწავლებაში შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო **10**-მა თანამშრომელმა;

- ხულოში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის (US ODC) მიერ გაიმართა შეხვედრა საგანგებო გეგმების შემუშავების პროექტის გაცნობის მიზნით. შეხვედრას შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან ესწრებოდა **3 (სამი)** თანამშრომელი.

## თურქეთი

**განხორციელებული სწავლებები:**

- შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) ორგანიზებით, ჩატარდა სწავლება საძიებო-სამაშველო ოპერაციებზე. აღნიშნულ სწავლებაში შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობდა **20** თანამშრომელი;
- თურქეთის პარტნიორობა მშვიდობისთვის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით **ქ. ანკარაში** გაიმართა კურსი - „კრიზისებზე რეაგირების ოფიცერთა კურსი“ (Crisis Response Operations Staff Officer Course (ACT.669.9)). კურსზე მონაწილეები გაეცნენ კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების ნატოს სტანდარტებსა და უსაფრთხოების სფეროში არსებულ გამოწვევებს. აღნიშნულ კურსს შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან ესწრებოდა **1** თანამშრომელი.

## გაეროსთან თანამშრომლობა

**განხორციელებული სწავლებები და შეხვედრები:**

- **ქ. თბილისში** გაეროს საერთაშორისო საძიებო-სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის (INSARAG) მენტორი, ივონა გუტმანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა სწავლება შემდეგ საკითხებზე: "INSARAG"-ის მეთოდოლოგიები და მართვის ფუნქციები, ურბანული საძიებო და სამაშველო ("USAR") ჯგუფის ფუნქციები, ვირტუალურად ადგილზე მყოფი ოპერაციების კოორდინირების ცენტრის (VOSOCC) და INSARAG-ის კოორდინაციის მართვის სისტემები (ICMS) INSARAG-ის მონიტორინგსა და გამოყენებაზე ჯგუფური სამუშაოების ჩატარება;
- **ქ. თბილისში** გაიმართა შეხვედრა სამსახურის უფროსს, თეიმურაზ მღებრიშვილსა და საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელს, დაგლას უეიბის შორის;
- **ქ. თბილისში** UNDP - ის მიერ ჩატარდა საველე სწავლება;
- თურქეთის კატასტროფების და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (AFAD) მიერ ქ. სტამბულში (თურქეთი) გაიმართა ,,INSARAG"-ის ურბანული საძიებო-სამაშველო (USAR) კოორდინაციის კურსი;
- **ქ. თბილისში** "INSARAG"-ის საერთაშორისო მსუბუქი სამაშველო ჯგუფის კლასიფიკაციის მისაღებად მომზადების ფარგლებში ჩატარდა სწავლება;
- **ქ. ბორჯომში** "UNDP"-ის მიერ „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში" პროგრამის ფარგლებში გაიმართა მაღალი დონის შეხვედრა;
- **დუშეთსა და შატილში** "UNDP"-ის პროექტის - „დუშეთის მუნიციპალიტეტის დაცული ტერიტორიების კატასტროფების რისკის მართვის შესაძლებლობების გაძლიერება" ფარგლებში, ჩეხეთის რესპუბლიკის სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ ჩატარდა სახანძრო-სამაშველო საკითხებზე სწავლება;
- **ქ. დილიჯანში (სომხეთი)** "UNDP"-ის და ლუნდის უნივერსიტეტის მხარდაჭერით, გაიმართა სწავლება - **„უფლებებზე დაფუძნებული კლიმატის ადაპტაცია საქართველოსა და სომხეთში"**;
- **ქ. ბუქარესტში (რუმინეთი)** "INSARAG"-თან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა რეგიონული შეხვედრა;
- **ქ. ულმში (გერმანია)** გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სააგენტოს (THW) მიერ გაიმართა "INSARAG"-ის სწავლება ურბანულ საძიებო და სამაშველო (USAR Coordination Course) კოორდინაციის შესახებ.

**2024 წელს გაეროს სწავლებებში გადამზადდა სამსახურის 76 თანამშრომელი.**

**2024 წელს საერთაშორისო ეგიდით გამართული სასწავლო კურსების მეშვეობით, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 732 თანამშრომელი გადამზადდა.**

## თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა „სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის“ (eFss) დახვეწა/განვითარება. დაემატა მონაცემთა ბაზისა და ატვირთული დოკუმენტების მექანიკური სარეზერვო ასლის გენერირების, საზედამხედველო ობიექტების საერთო ბაზის მომზადებისა და კომპანიების ინფორმაციის ავტომატური განახლების მოდულები;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა და გრძელდება მუშაობა სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ელექტრონულ პლატფორმაზე;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა და გრძელდება მუშაობა ინციდენტების აღრიცხვისა და ანალიზის ელექტრონულ პორტალზე და მასში საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ - 112-ში შესული ინციდენტების სერვისის ინტეგრირებაზე;
- საანგარიშო პერიოდში რეგულარულად მიმდინარეობდა სამსახურის ინტერაქტიულ რუკებზე (maps.es.gov.ge, hydrants.es.gov.ge) სხვადასხვა სახის მონაცემის განახლება.